საქართველო

სანოტარო აქტი
რეესტრში რეგისტრაციის **N130255579**

ორიათას ცამეტი წლის თვრამეტ მარტს მე, მეგი მაღალდაძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №19, მომმართა **ქ-ნმა მერი ხიდეშელმა, როგორც შპს „გრემი“-ს დირექტორმა,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ქ-ნმა მერი ხიდეშელმა** (დაბად. 21.02.1947წ. ონში. მცხ: რუსთავი, მეგობრობის გამზ. 57-69; პ/ნ №35001012059; პ/მ №დ 0071606) მომმართა.

მე აგრეთვე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

აგრეთვე შევამოწმე **მერი ხიდეშელის** უფლებამოსილება, კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის **შპს „გრემი“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, საბურთალოს რაიონში, ზ. ფანასკერტელის ქ. კორპ. 19. ბ. 177. საიდენტიფიკაციო კოდი: 404889590, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 01/03/2011, მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი, საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ. ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა. განაცხადის ნომერი: 257718, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11031909, ამონაწერის მომზადების თარიღი: 01/03/2011 15:22:12.**

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მარწმუნებელს წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი, მან მოიწონა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა
ორიათას ცამეტი წლის თვრამეტი მარტი

მე, მერი ხიდეშელმა, როგორც შპს „გრემი“-ს დირექტორმა ამ მინდობილობით **ბ-ნ ვახტანგ ტოკლიკიშვილს** (დაბად. 03.02.1983წ. თელავში. მცხ: თბილისი, ბარათელის ქ. №57; პ/ნ №01001025670;)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ბ-ნი ვახტანგ ტოკლიკიშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, გააგრძელოს მშენებლობის ვადა, მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, შეავროვოს მესაკუთრე შპს "ბიზნესი"-ს (ს/კ №201943040) მოაღნაგე შპს "გრემი"-ს (ს/კ №404889590) კომერციული ფართი მდებარე მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ცაბაძის ქუჩა №19-ის** ყოველგვარი დოკუმენტაცია, აიღოს ცნობები, ამონაწერები, მოწმობები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, წარადგინოს მოთხოვნის ადგილზე, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადი, ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საჭირო ქმედება, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოდაღნიშნული დავალებების შესასრულებლად. (უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის და გასხვისების გარეშე).

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2014 წლის 18 მარტის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს მეგი მაღალდაძის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 13 (ცამეტი) ლარი და 80 თეთრი, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების 31-ე, 39-ე მუხლების და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე (2011წ. 29 დეკემბერი).

ხელისმოწერა: _____

ნოტარიუსი მეგი მაღალდაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87014274713913

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130255579

რეგისტრაციის თარიღი

18.03.2013 წ

ნოტარიუსი: მეგი მაღალდაძე

მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19

ტელეფონი: 2967042

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18